2-7069/23
08-05-2023

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის
საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ევროოპტიმისტების“
რეგისტრაციაზე უარის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2023 წლის 8 მაისს კომიტეტის სხდომაზე განიხილა საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ევროოპტიმისტები“ რეგისტრაციის თაობაზე შემოსული განცხადება და თანდართული მასალები.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 228[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის არჩევნებში არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე არანაკლებ 2 პარლამენტის წევრს შეუძლია რეგლამენტით ფრაქციის შექმნისთვის დადგენილი მოთხოვნების (გარდა პარლამენტის წევრთა მინიმალური რაოდენობის შესახებ მოთხოვნისა) შესაბამისად შექმნას საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფი. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 228-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრებს უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. თუმცა, ამავე მუხლის 1[1] პუნქტის მიხედვით, 2024 წლის არჩევნებში არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრს უფლება აქვს, სხვა პოლიტიკური პარტიის/პოლიტიკური პარტიების ან საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთან/პარლამენტის წევრებთან ერთად შექმნას ფრაქცია ან გაერთიანდეს სხვა პოლიტიკური პარტიის/პოლიტიკური პარტიების ან საარჩევნო ბლოკის მიერ შექმნილ ფრაქციაში, თუ მან დატოვა საარჩევნო ბლოკში

შემავალი შესაბამისი პოლიტიკური პარტიის წევრობა. ამ შემთხვევაში იმავე საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ სხვა პარლამენტის წევრებს უფლება აქვთ, რეგლამენტის შესაბამისად შექმნან სხვა ფრაქცია. საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფში „ევროოპტიმისტები“ გაერთიანებულია ორი პარლამენტის წევრი რომან გოცირიძე და ხატია დეკანოიძე, რომლებიც საქართველოს პარლამენტში არჩეული არიან საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ წარდგენით. იმავე საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ სხვა პარლამენტის წევრებს უკვე შექმნილი აქვთ საპარლამენტო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“, რაც საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ წარდგენით არჩეულ სხვა პარლამენტის წევრებს არ აძლევს დამოუკიდებლად ცალკე პოლიტიკური ჯგუფის შექმნის შესაძლებლობას.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 228^1 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საპარლამენტო პოლიტიკურ ჯგუფს უარი ეთქმება რეგისტრაციაზე, თუ იგი არ აკმაყოფილებს რეგლამენტის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 49-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 228^1 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების მოთხოვნებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კომიტეტს მიზანშეწონილად არ მიაჩნია საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ევროოპტიმისტები“ რეგისტრაცია.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი ქადაგიშვილი